

## ტელევიზიისა და ინტერნეტის გავლენა ბავშვებისა და მოზარდების განვითარებაზე

ოთარ შონია, დალი ზერაგია, ია ირემამე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### რეზიუმე

განხილულია ადამიანურ-კომპიუტერული ინტერაქციების დადებითი და უარყოფითი მხარეები. კომუნიკაციის ფორმები, მათი ფიზიკური და ფსიქოლოგიური გავლენები მოზარდებსა და ბავშვებზე. ვირტუალური სივრცის ფსიქოპათოლოგიური გავლენები. შემოთავაზებულია ვირტუალური სივრცისგან და ჭარბი ინფორმაციისაგან მოზარდების დაცვის მექანიზმები.

**საკვანძო სიტყვები:** ტელევიზია. მოზარდის განვითარება. კვლევის რეფლექსი. ჰიპნოიდური მდგომარეობა.

### 1. შესავალი

ყოველ სახლში ტელევიზორის გაჩენამ გამოიწვია ის, რომ თავისუფალი დროის მნიშვნელოვნად ნაწილს მრავალი ადამიანი ატარებს ტელევიზორთან. მეგობრებთან შეხვედრა, გასეირნება, კითხვა, სპორტი შეცვალა ტელეგადაცემების მრავალსაათიანმა ცქერამ. რატომ შეიცვალეს ადამიანებმა ასე სწრაფად ცხოვრების წესი? აღმოჩნდა, რომ არსებობს ამ ფაქტის მეცნიერული ახსნა - ტელევიზიის მიმართ ამგვარი მიდრეკილება ფორმირდება ადამიანის თანდაყოლილი თვისებით - ეგრეთ წოდებული „კვლევის რეფლექსი“, რომელიც ბუნებით ბოძებული იყო როგორც მოულოდნელი და ახალი აღმგზნები ფაქტორებისას, სმენითი და მხედველობით რეაქციის სწრაფი, დამცავი რეაქცია, რომელიც საშიშროების არსებობისას სტებს განაგაშს.

ჯერ კიდევ, 1986 წელს სტენფორდის და მისურის (აშშ) უნივერსიტეტების მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ტელევიზიის ამგვარი ეფექტები, როგორცაა მონტაჟი, გამოსახულების სწრაფი ცვლილება, ხედის მოახლოება, ხმაური, განათება ზემოქმედებს ადამიანის ე.წ. კვლევით რეფლექსზე და შეუძლია დიდხანს მიიპყროს ყურადღება. მაგალითად, სარეკლამო რგოლებსა და მუსიკალურ კლიპებში გამოსახულება და რაკურსი იცლება საშუალოდ ერთი ობიექტი/წამში, რომელიც შეუჩერებლად აღაგზნებს კვლევით რეფლექსს. ზუსტადაც რომ, მთელი დატვირთვით აღგზნებული კვლევითი რეფლექსი განაპირობებს ტელემედიაციების საკმაოდ გავრცელებულ პასუხს კითხვაზე: „როდესაც მე ვუცქერ ტელევიზორს, თავს ვგრძნობ ჰიპნოზის ქვეშ“, „თუ ტელევიზორი ჩართულია, მე არ ძალმიძს მოვწყვიტო მას მზერა“ და ა.შ.

ჰიპნოიდური მდგომარეობა მკვეთრად ზღუდავს ინფორმაციის აღქმისა და გადამუშავების პროცესებს, მაგრამ აძლიერებს გონებაში ჩაბეჭვდასა და დაპროგრამების ქცევას.

თუმცა, არსებობენ რეკლამების უფრო სიღრმისეული გავლენები ადამიანებზე. მრავალფეროვანი, მკვეთრი რეკლამები იწვევს სასაქონლო მოხმარების საჭიროების არსებობის ძლიერ გადახრას, სტიმულაციას უკეთებს არა სულიერ არამედ მატერიალურ ინტერესებს. რუსეთის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის ფსიქოკოლოგიური კათედრის ხელმძღვანელის ი.ვ. სმირნოვი დეკლარირებს, რომ მეცნიერების მიერ

ჩატარებული კვლევებისას, დიაგნოსტიკის თითოეული პროცედურისას, აუცილებლად ახდენენ პაციენტის უმაღლესი მორალური სფეროების ტესტირებას, როგორცაა ღმერთი, ოჯახი, სამშობლო და კიდევ სხვა საბაზო მსგავსი იდეები. შედეგებმა აჩვენეს, რომ ადამიანებმა უარყვეს უმაღლესი, ძირითადი ცნებები. გაუფასურდა ის, რის გამოც ადამიანი ცოცხლობს და რაც მისთვის წარმოადგენს სიცოცხლის არსს. ამის მაგივრად „შემოთავაზებულა“ მატერიალური „ფასეულობები“, ისეთი როგორც არის მომხმარებლობა, გართობა, დაგროვება. როგორც აღნიშნავს ი.ვ. სმირნოვი, ღმერთის იდეა - არა მარტო დეკლარირების დონეზე, არამედ როგორც ღრმად გააზრებული და აღქმული, სრულიად შორს დგას ჩვენი თანამედროვე საზოგადოების სულიერი სამყაროსაგან. უფრო მეტიც, ღმერთმსახურთა შორისაც, რომლებიც გადიოდნენ დიაგნოსტიკას ფსიქო-ეკოლოგიის კათედრაზე, არც ერთს არ გააჩნდა აღნიშნული იდეა. რეკლამის ზემოქმედების ამ მეტად შემაშფოთებელი შედეგების მიზეზს წარმოადგენს კიდევ ერთი ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგია - ადამიანის სასიცოცხლო ციკლში განსაზღვრული სცენარით „ჩაშენებული“ ტექნოლოგია.

რუსეთის აკადემიკოსი, კონოგანათლებისა და მედიაპედაგოგიკის ასოციაციის წევრი ვ.ს. სობკინი აღნიშნავს, რომ „ძალადობისა და ეროტიკული სცენების ტრანსლიაციის მოცულობის დონე მკვეთრად აღემატება დღიურ და კვირის სასიცოცხლო ციკლს. ძალადობისა და ეროტიკული სცენები „ჩაშენებას განიცდიან (ჩაშენდებიან, ჩაინერგებიან)“ ადამიანის სასიცოცხლო ციკლში ზუსტად იმ მომენტში, როდესაც ადამიანი მოდუნებულია, დაბალია მაკონტროლირებელი ცნობიერება (ძილისთვის მზადების ფაზა, გამოსასვლელი დღეების დილის საათები)“. სადამოს საათებისათვის უფრო ინტენსიურად ხდება ძალადობისა და ეროტიკული სცენების ტრანსლიაცია, რასაც მიჰყავს იქამდე, რომ ტელემედიკების მიერ სცენები აღიქმება ქვეცნობიერის დონეზე. „ამგვარად, შეინიშნება ტელევიზიების მუშაობის განსაკუთრებული სოციოკულტურული ტექნიკა - მასობრივი ცნობიერებაში, ოფიციალურად ტაბუდადებული ნორმებისა და ქცევების ჩანერგვა“. სამწუხაროდ, ბოლო დროს, რომელი არხიც უნდა ჩაერთოს - აუცილებლად ვიღაცას კლავენ, მოგვითხრობენ ავარიებსა და კატასტროფებზე. მასმედიაში შეინიშნება ტენდენცია - „ყველგან ყველაფერი ცუდადაა“, რაც ადამიანებში ერთდროულად წარმოქმნის აპათიასა და აგრესიას. ლ.ს. ვიგოდსკის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის პროფესორი ა.მ.პრიხოჟანი აღნიშნავს, რომ ტელევიზია ასრულებს მასტიმულირებელ როლს, აღვიძებს ადამიანებში ნეგატიურ თვისებებს ტელევიზიით გადმოცემული კრიმინალური სიუჟეტების ხარჯზე. გამუდმებულად ერთ და იგივე სცენების განმეორებით, მაგალითად ძალადობრივი და სასტიკი სცენებით ტრანსლირებით, არათუ მცირდება ყურადღება და რეაქცია მათზე, არამედ - რაც მთავარია, მკვეთრად იწვევს დაბლა თანაგრძნობა მსხვერპლისადმი და ხდის ძალადობას ყოველდღიური ცხოვრების ნორმად და ატრიბუტად. პროფესორის აზრით, გამოსავალი არსებული სიტუაციიდან არის - არ უყურო ტელევიზორს საერთოდ! ა. პრიხოჟანი აღნიშნავს: აუცილებელია, რომ პოზიტიური სიუჟეტების რაოდენობა, მორალური თვალსაწიერიდან გამომდინარე მკვეთრად უნდა აღემატებოდეს ნეგატიურ სატელევიზიო ინფორმაციულ ნაკადს. თუ სატელევიზიო ტექნოლოგიები ასეთ გავლენას ახდენენ ზრდასრულ ადამიანებზე, მაშინ როგორ გავლენას

მოხდენენ ახლად ფორმირებულ ორგანიზმსა და ბავშვთა და მოზარდთა მყოფე ფსიქიკაზე, რომელთაც ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებიათ დამცავი მექანიზმები?!

## 2. ძირითადი ნაწილი

ბავშვის ტვინი, გამუდმებული ურთიერთქმედებით გარშემო მყოფ სამყაროსთან გენეტიკურად დაპროგრამებულია განვითარებაზე, ხოლო მოგვიანებით თანატოლებთან ურთიერთობაზე. ასეთი უკუკავშირის გარეშე ბავშვი, როგორც გენიალური გონების პატრონიც უნდა იყოს, ვერ ახდენს საკუთარი პოტენციალის რეალიზებას - გავიხსენოთ ჩვენთვის ნაცნობი ისტორია - ბავშვი მაუგლი, რომელიც ჩვილობიდან იზრდება ცხოველთა შორის, ხოლო შემდეგ აღმოჩნდება ადამიანთა სამყაროში, რომელმაც მაინც ვერ აითვისა ლაპარაკი და ადამიანური ქცევის ფორმები. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ზუსტადაც რომ სიცოცხლის პირველ წლებში, გარე სამყაროსთან ურთიერთობის პროცესში, ტვინის ქერქში მიმდინარეობს პროცესები, როდესაც ძალზედ ეფექტურად ფორმირდება ნეირონული კავშირები, ამ დროს ბავშვი სწრაფად ვითარდება და ადეკვატურად აღიქვას სამყაროს. ბავშვის ნორმალური განვითარებისათვის აუცილებელია გარემო, ემოციური ურთიერთობებითა და საუბარის დონეზე, თამაშობები და თამაში უფროსებთან და თანატოლებთან - მაგრამ ტელევიზორთან არა!

აშშ-ს მკვლევარი მერი ვინი აღნიშნავს, რომ „ყველაზე მთავარი, რაც უნდა მიიღოს ბავშვმა არ არსებობს, მაგალითად ტელევიზორის ცქერისას. ბავშვი არ ღებულობს მონაწილეობას ვერბალურ კომუნიკაციაში - ასობით თუ ათასობით სიტყვას არ გამოთქვამს, არ არის უკუკავშირი, არ ისმევა კითხვები და შესაბამისად არ არის პასუხები, არ არსებობს დიალოგი!“.

ამგვარი ცალმხრივი ურთიერთობების შედეგი, როგორც აღნიშნავს ამ დარგის ერთ-ერთი წამყვანი ინგლისელი მეცნიერი სალი უორდი, არის უკვე სიცოცხლის პირველივე წლებში ბავშვის გონებრივ განვითარებაში ჩამორჩენის მიზეზი. სამი წლის ასაკისათვის კი, იმ მშობელთა საყურადღებოდ, რომლებსაც ძიძის მაგივრობას უწევდა ტელევიზორი, მათი შვილები მათივე თანატოლებს უკვე ჩამორჩებიან გონებრივ განვითარებაში სიცოცხლის პირველივე წელში. ამიტომ ხდება გასაგები კალიფორნიელი მკვლევარის სიუზენ ჯონსონის თეორია, რომელიც იკვლევს ტვინისა და ტელევიზიის ურთიერთქმედებას, რაც მდგომარეობს შემდეგში: „ტელევიზორი არ შეიძლება გამოყენებული იქნას თუნდაც მცირე დროის მანძილზე ბავშვის დასვენებისა თუ გართობის მიზნით. ბავშვის თვალების დანიშნულებაა, დაბადებიდან უყუროს გარე სამყაროს და ადამიანთა სახეებს. ამიტომ ბავშვის დასვენების ყველაზე კარგი ფორმა არის დედასთან და/ან მამასთან ურთიერთობა“.

ტელევიზიისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების გავლენებით მოტანილ ფუნდამენტალობებს მეცნიერები ადარებენ „ვიზუალურ“ ანდა „გრაფიკულ რევოლუციას“. ამ ვიზუალური რევოლუციის შედეგად, როგორც აღნიშნავს ამერიკელი სოციოლოგი და კულტუროლოგი, მედიაკულტური სფეროს სპეციალისტი პოსტმანი, სოციუმში გადაცემული ინფორმაციის ერთეული გახდა არა სიტყვა, როგორც იყო მრავალი ათასწლეულების მანძილზე ტელევიზიის გარეშე, არამედ ვიზუალური ნიშანი, ამასთან რეკლამის უპირატესობის სასარგებლოდ. რა იცვლება ამითი ბავშვის განვითარებაში? 1) არსებული გამოთქმისგან განსხვავებით - გამოსახულება შეუძლებელია დაადასტურო ან

უარყო - იგი მხოლოდ წარუდგება მხედველობას. მაგრამ სასკოლო და სკოლამდელი ასაკის ბავშვები, როგორც აღნიშნავენ ფსიქოლოგები, ვერ ანსხვავებენ წარმოსახვითს რეალობისაგან და არ შეუძლიათ კრიტიკულად განსაჯონ მიღებული ინფორმაცია. ბავშვების მიერ ტელეინფორმაციის აღქმის ეს თავისებურებები აუცილებლად ანგარიშგასაწევია. 2) შემეცნებითი და საგანმანათლებლო გადაცემების არსებობის მიღმა, ტელევიზია ხელს არ უწყობს გარე სამყაროსა და სხვა ადამიანების მიმართ მდგრადი ინტერესის განვითარებას. იგი აღვივებს მხოლოდ ცნობისმოყვარეობას, რომელიც იქვე კმაყოფილდება, ხშირ შემთხვევაში ზედაპირულად, ზოგიერთ შემთხვევაში კი მახინჯდება მიღებული ინფორმაციით, რომელიც წარმოდგენილია საკმაოდ „სახალისო“ ფორმად. სამეცნიერო დაკვირვებები ადასტურებენ, რომ 1-დან 3 წლამდე ასაკის ბავშვებში, ტელევიზორის ცქერა სამომავლოდ წარმოქმნის ყურადღების კონცენტრაციის პრობლემას უკვე 7 წლის ასაკში, ანუ - სასკოლო ასაკისათვის. ხოლო ბავშვები, რომლებსაც არ შეუძლიათ მოიკრიბონ ყურადღება, გაუკეთონ კონცენტრაცია აზრებს, უბრალოდ კარგავენ შესაძლებლობას და უნარს გაიგონ ან დაიმახსოვრონ რამე. 3) როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, ტელევიზიისა და ინტერნეტის ფართოდ გავრცელება დამოკიდებულია ბავშვთა ცნობისმოყვარეობის გაქრობის პრობლემასთან. ბავშვისთვის გარე სამყარო ყოველთვის წარმოადგენს უამრავ ამოუცნობ მოვლენებსა და საგნებს, ამ დროს, ამ მოვლენების გასაგებ ენაზე ასახსნელად, ბავშვისთვის უფროსი წარმოადგენს ავტორიტეტს. ინტერნეტი და ტელევიზია ახდენს ინფორმაციის საყოველთაოდ ხელმისაწვდომობას, თუმცა ყოველთვის არ არის ეს ინფორმაცია ჭეშმარიტი. უფროსი აღარ არის ავტორიტეტული წყარო ბავშვის ცნობიერებისა და ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად! შედეგად, ხშირად ბავშვის ცნობისმოყვარეობა ჩანაცვლებულია ცინიზმითა და თვითდარწმუნებული, ამპარტავნული ქედმაღლობით. 4) ტელევიზორის ეკრანიდან წამოსული ინფორმაციის ნაკადი აღემატება ბავშვის მიერ მიღებული ინფორმაციის აღქმისა და დამოუკიდებლად გადამუშავების შესაძლებლობას. თავისთავად, ტელეეკრანის ვიზუალური დიაპაზონი მოითხოვს ვიზუალური მასალის უწყვეტ გაცნობიერებას, რომელიც გრძელდება ასოციატიური გამოსახულებებით და მოითხოვს განსაზღვრულ ინტელექტუალურ და ემოციურ ძალისხმევას, მათი შეფასებისა და „დამუხრუჭებისათვის“. ნერვული სისტემა (განსაკუთრებით ბავშვების), რომელსაც არ შეუძლია გაუძლოს მსგავს ინტენსიურ გაცნობიერების პროცესს, უკვე 15-20 წუთის შემდეგ, ჰიპნოიდური მდგომარეობის სახით წარმოქმნის დამცავ მამუხრუჭებელ რეაქციას, რომელიც მკვეთრად ზღუდავს აღქმისა და ინფორმაციის გადამუშავების პროცესს, მაგრამ ზრდის, როგორც უკვე აღნიშნული იყო, გონებაში აღბეჭვდისა და ქცევის დაპროგრამების ხარისხს.

მრავალი ქვეყნის მკვლევართა სოციოლოგიური კვლევების თანახმად, ბავშვი, რომელიც იზრდება მსგავს გარემოში, უკვე ზრდასრულ ასაკში გამუდმებით ელოდება აუცილებელი ინფორმაციის მიიღებს „გარედან“- საიდანღაც. მაგრამ, პრაქტიკულად არ შეუძლია დამოუკიდებლად საკუთარი იდეების გენერირება და მსჯელობა. მეტიც, მას ამის სურვილიც კი აღარ გააჩნია.

სატელევიზიო ტექნოლოგიების ზემოქმედების კიდევ ერთი თანმდევი შედეგი: ბავშვებში გავრცელებული „ჰიპერაქტიური და ყურადღების დეფიციტის სინდრომი“,

რომელზედაც დღეს ჭარბად საუბრობენ ექიმები და ფსიქოლოგები. ამგვარი სინდრომის მატარებელი ბავშვების რიცხვი წლიდან წლამდე იზრდება. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ „ბავშვთა უყურადღებობა“ განსაზღვრულ ხარისხში, კავშირშია ზუსტადაც რომ „მოციმციმე ეფექტთან“. საქმე გვაქვს ეკრანზე გამოსახულებების სწრაფ მონაცვლეობასთან, ხოლო ეს უკანასკნელი აკეთებს ყურადღებისა და კონცენტრირების დესტაბილიზაციას. ბავშვი ხდება ისეთივე იმპულსური, არ გააჩნია უნარი ხანგრძლივად კონცენტრირდეს რაიმე საქმიანობაზე. მისთვის აუცილებელი ხდება მუდმივი სტიმულაცია გარედან, რომლის მიღებასაც უკვე შეჩვეულია ტელეეკრანიდან. აუცილებელია გვახსოვდეს, რომ ის რაც წარმოადგენს ბავშვის სამყაროს, განსაზღვრავს მის მომავალს.

### 3. დასკვნა

კაცობრიობის უდიდესი მიღწევა - გლობალური კომპიუტერული ქსელები - აგრეთვე წარმოადგენენ პოტენციურ საფრთხეებს. ჰარი სმოლი საავტორო ნაშრომში „როგორ ავირიდოთ თავიდან ტვინის ტექნოლოგიური ცვლილებები“ წერს: „... რადგანაც ინტერნეტი ამცირებს კონცენტრირებისა და განჭვრეტის უნარებს, მაშინ ... აზროვნება ხდება წყვეტილი, კითხვა - ზედაპირული. მომხმარებლები მხოლოდ „დიაგნოზალურად“ ათვალისწინებენ სათაურებსა და ანოტაციებს. ხოლო ტვინის ის უბნები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან აბსტრაქტულ აზროვნებასა და თანაგრძნობაზე, ფაქტიურად ატროფირდებიან“. მორფოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლი სერგეი საველიევი თავის მონოგრაფიაში „ტვინის წარმომავლობა“ წერს, რომ „ინტერნეტი ქმნის მხოლოდ ინფორმაციის და ტექნიკური აღჭრვილობის ხელმისაწვდომობის ილუზიას, ე.წ. „ციფრული აბორიგენების“ დატვირთვა ტვინზე განუწყვეტლივ მცირდება. თვით პროგრამისტებისაგანაც არ არის დღეს საჭირო იმგვარი ინტელექტუალური დონე, როგორც მოეთხოვებოდათ 10-15 წლის წინ. ისინი წერენ (აშენებენ) პროგრამებს, ისე თითქოს ბავშვი აწყობს კუბებს. ამგვარ პირობებში ინტელექტუალური დეგრადაცია გარდაუვალია!“. ფორმირებადი ტელე ან ინტერნეტ დამოკიდებულება ცვლის არა მხოლოდ უნარებსა და ფსიქოლოგიურ თვისებებს, არამედ ცვლიან ადამიანის ტვინსაც. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ქალაქ უჰანის მაგნიტორეზონანსული გამოკვლევების ცენტრის მეცნიერებმა, გააკეთეს 17 ინტერნეტდამოკიდებული ზრდასრული ადამიანის ტვინის სკანირება. შედეგები შეადარეს 16 ჯანმრთელი ადამიანის მონაცემებს. მედიკოსებმა კვლევის შედეგად დამაჯერებელი დასკვნა გააკეთეს: ისინი, ვინც დიდ დროს ატარებენ ინტერნეტში მუშაობისას, სწრაფად უვითარდებთ თავის ტვინის ორი უბანი, რომელთაგან ერთი ნაწილი პასუხისმგებელია მოკლევადიან მეხსიერებაზე, და ცენტრი, რომელიც პასუხისმგებელია სწრაფი გადაწყვეტილებების მიღებაზე. მაგრამ ტვინის ის უბნები, რომლებიც პასუხს აგებენ დეტალურ ანალიზზე, პრობლემის ღრმად გააზრებაზე, ფაქტიურად რჩება დატვირთვის გარეშე. კულტურის განვითარება, სულიერება, ინტელექტი, მეცნიერება - ეს არის ჩვენი ქვეყნის მომავალი. არ არსებობს სახელმწიფო, თუ კი არ არის ადამიანის-მოქალაქის სულიერ ზრდაზე, კულტურისა და ინტელექტის ამაღლებაზე ორიენტირებული სახელმწიფო მოწყობა.

დღესდღეობით კულტურის სფერო მჭიდროდ არის გადაჯაჭვული პოლიტიკურ და ნაციონალური უსაფრთხოების სფეროებთან. თანამედროვე მსოფლიოში, ქვეყნის

სიდიადესა და მომავალს განსაზღვრავენ არა რესურსებითა და შეიარაღებით, არამედ მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარების ხარისხითა და ერის სულიერებით.

დაე ჩვენი შვილიები, ხვალ აღმოჩნდნენ მათ რიგებში, ვინც ააშენებენ გააზრებულ, დაგეგმარებულ ქალაქებს, შექმნიან ულამაზეს ტილოებს და დაეხმარებიან დედამიწას გახდეს უფრო მშვენიერი. შენებისა და წინსვლვისათვის საჭიროა ჩავანაცვლოთ ტელევიზორი მშობლის სიყვარულით და წიგნით. დავეხმაროთ ჩვენს შვილებს შევანარჩუნებინოთ უნიკალურობა და განუმეორებელობა.

### ლიტერატურა - References – Литература:

1. Козлов Н.И. (2016). Детская психология: психология ребенка и его развитие. Психологос. Энциклопедия практической психологии. <https://www.psychologos.ru/articles/view/detskaya-psihologiya-dvoe-zn--psihologiya-rebenka-i-ego-razvitie>
2. Выготский Л.С. (2004). Психология развития ребенка. -М., „Смысл“
3. I. Scott MacKenzie. (2009). Fitts' Law as a Research and Design Tool in Human-Computer Interaction. Pub.online: 11.11. P. 91-139. [https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1207/s153270-51hci0701\\_3](https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1207/s153270-51hci0701_3)
4. Скуратовская М.Л. (2018). Докл. II Съезд Междун. общественного Движения «За нравственность!». 6 июня 2018. Рига (Латвия).

### TELEVISION AND INTERNET INFLUENCE ON THE DEVELOPMENT OF CHILDREN AND TEENAGERS

Shonia Otar, Zeragia Dali, Iremadze Ia  
Georgian Technical University

#### Summary

The advantages and disadvantages of human-computer interaction are considered. Forms of communication, their physical and psychological effects on adolescents and children. Psychopathological effects of the virtual space. The mechanisms for protecting adolescents from the virtual space and redundant information are proposed.

### ВЛИЯНИЕ ТЕЛЕВИДЕНИЯ И ИНТЕРНЕТА НА РАЗВИТИЕ ДЕТЕЙ И ПОДРОСТКОВ

Шония О., Зерагия Д., Иремадзе И.  
Грузинский Технический Университет

#### Резюме

Рассмотрены преимущества и недостатки взаимодействия человека с компьютером, формы общения, их физическое и психологическое воздействие на подростков и детей, психопатологические влияния виртуального пространства. Предложены механизмы защиты подростков от виртуального пространства и избыточной информации.